საქართველოს კანონი

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

თავი **I.** ზოგადი დებულებანი

მუხლი **1**

ეს კანონი ადგენს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე არეგულირებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, წარდგენილი დეკლარაციების მონიტორინგის პირობებსა და მექანიზმს, აგრეთვე მამხილებელთა დაცვის, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების ძირითად საფუძვლებს.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I, №9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **2**

1. ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება შემდეგი პირები:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა თავმჯდომარეები;

ე) საქართველოს მთავრობის წევრი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

ე[1]) (ამოღებულია - 04.04.2019, №4462 (/en/document/view/4526259#DOCUMENT:1;));

ე [2]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

ვ [1]) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ [1]) (ამოღებულია - 29.06.2018, №2760 (/en/document/view/4253691#DOCUMENT:1;));

ზ[2]) (ამოღებულია - 07.12.2017, №1708 (/en/document/view/3886567#DOCUMENT:1;));

ზ[3]) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;

თ) საქართველოს სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;

თ[1]) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;

ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;

ი [1]) საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მისი მოადგილე;

კ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

კ [1]) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მათთან გათანაბრებული პირები;\

კ[2]) (ამოღებულია - 29.06.2018, №2760 (/en/document/view/4253691#DOCUMENT:1;));

კ[3]) (ამოღებულია - 07.12.2017, №1708 (/en/document/view/3886567#DOCUMENT:1;));

ლ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

ლ[1]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები;

ლ[2]) საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიებისა) ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

მ[1]) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

მ[2]) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მისი მოადგილე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს /საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი;

ო) გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

ჟ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;

რ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ს) საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი;

ტ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

უ) სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე;

ფ) მუნიციპალიტეტის მერი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რაიონის გამგებელი და მისი მოადგილე, რაიონის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი და მისი მოადგილე, რაიონის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ქ) (ამოღებულია - 05.02.2014, №1973 (/en/document/view/2239643#DOCUMENT:1;));

ღ) მოსამართლე;

ყ) საქართველოს გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტების უფროსები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

შ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი;

ჩ) (ამოღებულია - 27.10.2015, №4358 (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;));

ც) სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილე;

ც [1]) საქართველოს სახალხო დამცველი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

ძ) (ამოღებულია - 22.12.2018, №4097 (/en/document/view/4421029#DOCUMENT:1;));

წ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის − საპენსიო სააგენტოს დირექტორი და უფროსი საინვესტიციო ოფიცერი;

ჭ) სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს წევრი.

2. ამ კანონის IV თავის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ აგრეთვე იგულისხმება:

ა) (ამოღებულია - 27.10.2015, №4358 (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;));

ბ) სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი;

გ) იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საწარმოების, რომელთა (რომელთა შვილობილი საწარმოების) ხელმძღვანელებსაც ევალებათ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს *1998* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1733*-სსმ*I, №7, 31.12.1998*წ., მუხ.*56* (/en/document/view/1612#)

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *1999* წლის *30* აპრილის კანონი *№1934*-სსმ*I, №15(22), 14.05.1999*წ., მუხ.*63* (/en/document/view/11590#)

საქართველოს *1999* წლის *28* მაისის კანონი *№1987*-სსმ*I, №21(28),14.06.99* მუხ.*103* (/en/document/view/11638#)

საქართველოს *2001* წლის *20* ივლისის კანონი *№1014*-სსმ *№24, 01.08.2001*წ., მუხ.*94* (/en/document/view/15556#)

საქართველოს *2006* წლის *25* მაისის კანონი *№3184*-სსმ*I, №17, 30.05.2006*წ., მუხ.*129 (/en/document/view/23752#)*

საქართველოს *2006* წლის *29* დეკემბრის კანონი *№4278*-სსმ*I, №51, 31.12.2006*წ., მუხ.*437 (/en/document/view/23020#)*

საქართველოს *2006* წლის *29* დეკემბრის კანონი *№4295*-სსმ*I, №1, 03.01.2007*წ., მუხ.*5* (/en/document/view/23134#)

საქართველოს *2007* წლის *30* მარტის კანონი *№4603*-სსმ*I, №11, 10.04.2007*წ., მუხ.*107* (/en/document/view/24250#)

საქართველოს *2007* წლის *25* მაისის კანონი *№4818*-სსმ*I, №19, 01.06.2007*წ., მუხ.*172* (/en/document/view/21304#)

საქართველოს *2007* წლის *5* ივნისის კანონი *№4861*-სსმ*I, №22, 19.06.2007*წ., მუხ.*190* (/en/document/view/1246#)

საქართველოს *2007* წლის *11* ივლისის კანონი *№5249*-სსმ*I, №29, 27.07.2007*წ., მუხ.*319* (/en/document/view/22528#)

საქართველოს *2007* წლის *20* ნოემბრის კანონი *№5470*-სსმ*I, №40, 03.12.2007*წ., მუხ.*381* (/en/document/view/20074#)

საქართველოს *2008* წლის *1* ნოემბრის კანონი *№486*-სსმ*I, №30, 07.11.2008*წ., მუხ.*202* (/en/document/view/19384#)

საქართველოს *2009* წლის *19* ივნისის კანონი *№1277*-სსმ*I, №13, 02.07.2009*წ., მუხ.*61* (/en/document/view/89266#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2010* წლის *23* თებერვლის კანონი *№2669*-სსმ*I, №7, 09.03.2010*წ., მუხ.*28* (/en/document/view/91504#)

საქართველოს *2011* წლის *17* მაისის კანონი *№4675* - ვებგვერდი, *01.06.2011*წ. (/en/document/view/1349568#)

საქართველოს *2011* წლის *13* ოქტომბრის კანონი *№5129* - ვებგვერდი, *27.10.2011*წ. (/en/document/view/1498949#)

საქართველოს *2012* წლის *15* მაისის კანონი *№6174* - ვებგვერდი, *29.05.2012*წ. (/en/document/view/1661494#)

საქართველოს *2012* წლის *22* ივნისის კანონი *№6550* - ვებგვერდი, *29.06.2012*წ. (/en/document/view/1688602#)

საქართველოს *2012* წლის *29* ივნისის კანონი *№6612* - ვებგვერდი, *12.07.2012*წ. (/en/document/view/1698188#)

საქართველოს *2013* წლის *20* სექტემბრის კანონი *№1261* – ვებგვერდი, *08.10.2013*წ. (/en/document/view/2028804#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2013* წლის *13* ნოემბრის კანონი *№1526* - ვებგვერდი, *22.11.2013*წ. (/en/document/view/2082276#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2013* წლის *20* ნოემბრის კანონი *№1593* - ვებგვერდი, *03.12.2013*წ. (/en/document/view/2092906#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2013* წლის *29* ნოემბრის კანონი *№1666* - ვებგვერდი, *16.12.2013*წ. (/en/document/view/2112255#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2013* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1801* - ვებგვერდი, *28.12.2013*წ. (/en/document/view/2149853#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2014* წლის *5* თებერვლის კანონი *№1958* - ვებგვერდი, *17.02.2014*წ. (/en/document/view/2236857#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2014* წლის *5* თებერვლის კანონი *№1973* - ვებგვერდი, *19.02.2014*წ. (/en/document/view/2239643#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2014* წლის *2* მაისის კანონი *№2361* - ვებგვერდი, *16.05.2014*წ. (/en/document/view/2346187#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2014* წლის *1* აგვისტოს კანონი *№2643* – ვებგვერდი, *18.08.2014*წ. (/en/document/view/2453968#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *4* მარტის კანონი *№3129* – ვებგვერდი, *23.03.2015*წ. (/en/document/view/2764658#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *28* მაისის კანონი *№3614* - ვებგვერდი, *04.06.2015*წ. (/en/document/view/2857057#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *8* ივლისის კანონი *№3932* - ვებგვერდი, *15.07.2015*წ. (/en/document/view/2902749#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2017* წლის *7* დეკემბრის კანონი *№1708* – ვებგვერდი, *14.12.2017*წ. (/en/document/view/3886567#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *29* ივნისის კანონი *№2760* – ვებგვერდი, *19.07.2018*წ. (/en/document/view/4253691#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *21* ივლისის კანონი *№3305* – ვებგვერდი, *06.08.2018*წ. (/en/document/view/4276815#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *21* ივლისის კანონი *№3287* – ვებგვერდი, *09.08.2018*წ. (/en/document/view/4276611#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *30* ნოემბრის კანონი *№3822* – ვებგვერდი, *13.12.2018*წ. (/en/document/view/4367627#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *22* დეკემბრის კანონი *№4097* – ვებგვერდი, *28.12.2018*წ. (/en/document/view/4421029#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2018* წლის *27* დეკემბრის კანონი *№4245* – ვებგვერდი, *29.12.2018*წ. (/en/document/view/4432160#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2019* წლის *2* აპრილის კანონი *№4403* – ვებგვერდი, *08.04.2019*წ. (/en/document/view/4510213#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2019* წლის *4* აპრილის კანონი *№4462* – ვებგვერდი, *11.04.2019*წ. (/en/document/view/4526259#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2019* წლის *8* მაისის კანონი *№4592* – ვებგვერდი, *08.05.2019*წ. (/en/document/view/4555903#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2019* წლის *28* ივნისის კანონი *№4931* – ვებგვერდი, *04.07.2019*წ. (/en/document/view/4582985#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2020* წლის *2* ივლისის კანონი *№6732* – ვებგვერდი, *16.07.2020*წ. (/en/document/view/4920430#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2020* წლის *15* ივლისის კანონი *№6992* - ვებგვერდი, *28.07.2020*წ. (/en/document/view/4913962#DOCUMENT:1;)

მუხლი **2[1]**

1. ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურეები არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/3031098#DOCUMENT:1;) განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე (შემდგომ – მოხელე) და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

2. ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურედ არ ჩაითვლება საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, გარდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი გამონაკლისებისა.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)
საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **2[2]**

ამ კანონის მიზნებისათვის „საჯარო დაწესებულებაში“ იგულისხმება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/3031098#DOCUMENT:1;) გათვალისწინებული სახელმწიფო სამსახურისა და საჯარო სამსახურის განმახორციელებელი დაწესებულებები, აგრეთვე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)
საქართველოს *2013* წლის *20* ნოემბრის კანონი *№1593* - ვებგვერდი, *03.12.2013*წ. (/en/document/view/2092906#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **3**

1. კორუფცია საჯარო სამსახურში“ არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

2. „კორუფციული სამართალდარღვევა“ არის ქმედობა, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგე-ბლობა.

3. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა“ არის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან

4. „დაუსაბუთებელი ქონება“ არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს არ გააჩნია ან იგი შეძენილია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

5. „ქონებრივი წარმომავლობის დასაბუთება“ არის დეკლარირებული ქონებისა და ფინანსური რესურსების საკუთრებაში მიღების ფორმის დოკუმენტური ან სიტყვიერი ახსნა-განმარტება წყაროს მითითებით.

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I*, *№6*, *09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)
საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)
საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **4**

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ბ) „ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

მუხლი **5**

1. ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

2. საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

3. საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

მუხლი **5[1]**

ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქ ონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/21076#).

საქართველოს *2020* წლის *15* ივლისის კანონი *№6992* - ვებგვერდი, *28.07.2020*წ. *(/en/document/view/4913962#DOCUMENT:1;)*

მუხლი **5[2]**

თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ ამ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ ოდენობას, ან/და თუ გარკვეული მიზეზით (საჩუქრის ფოსტით მიღება, საჩუქრის საჯაროდ გადაცემა) შეუძლებელი იყო მის მიღებაზე უარის თქმა, იგი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომ – ბიურო) წარუდგინოს ინფორმაცია მიღებული საჩუქრის დასახელების, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულების/ოდენობის და მჩუქებლის ვინაობის შესახებ, ხოლო ამ კანონით აკრძალული საჩუქარი გადასცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2020* წლის *29* მაისის კანონი *№5991* – ვებგვერდი, *10.06.2020*წ. (/en/document/view/4880875#DOCUMENT:1;)

მუხლი **6**

1. ამ კანონის მიზნებისათვის, „საწარმოს კონტროლში“ იგულისხმება პირის (ორგანოს) უფლებამოსილება კონკრეტული საწარმოს (მეწარმის) მიმართ, რომ მან პირადად ან თავისი სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის მეშვეობით შეამოწმოს საწარმოს (მეწარმის) საქმიანობა, ან დაუწესოს სამეწარმეო საქმიანობაში რაიმე შეზღუდვა ან შეღავათი, ანდა გასცეს ლიცენზია, სერტიფიკატი ან სხვაგვარი ნებართვა მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. ამ კანონის მიზნებისათვის „თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირში“ იგულისხმება ის პირი, რომლის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ან შესრულებულ მოქმედებასთან დაკავშირებით თანამდებობის პირი უფლებამოსილია:

ა) გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ;

ბ) შეაჩეროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება;

გ) გაუქმოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. ამ კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის „საწარმოს საქმიანობაში პირდაპირ მონაწილეობაში“ იგულისხმება კახოხით დადგენილი წესით საწარმოს შექმნა, მისი მართვა, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება, საწარმოს კაპიტალის ფლობა.

4. ამ კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის „საწარმოს საქმიანობაში არაპირდაპირ მონაწილეობაში“ იგულისხმება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საწარმოს პირდაპირი მონაწილეობა (მათ შორის, აქციებისა და წილის ფლობა) სხვა საწარმოს საქმიანობაში.

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

თავი **II.** მოქმედების შეზღუდვა

მუხლი **7**

საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **8**

საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **9**

1. საჯარო მოსამსახურეს, რომელიც ვალდებულია უფასოდ გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს, ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

2. საჯარო მოსამსახურეს, რომელიც ვალდებულია ოფიციალური წესით დადგენილი ოდენობის საფასურად გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს, ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს უფრო დიდი ოდენობის ანაზღაურება.

3. საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, მიიღოს რაიმე ანაზღაურება საჯარო სექტორში შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნაშრომის, მოხსენების ან სხვა მასალის გამოქვეყნებისათვის.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ ინფორმაცია საჯაროა და მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **10**

1. საჯარო მოსამსახურეს, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, ეკრძალება:

ა) შეიძინოს გარიგების დასადებად მისთვის მინდობილი საჯარო დაწესებულების ქონება;

ბ) დადოს ქონებრივი გარიგება იმ საჯარო დაწესებულებასთან, სადაც მუშაობს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;

გ) თავის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პოლიტიკურ პარტიასთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან დადოს გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ;

დ) თავის ოჯახის წევრთან ან ახლო ნათესავთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **11**

1. საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს და უარი განაცხადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

2. საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა იმ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ და ამის თაობაზე წერილობით აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ზემდგომ ორგანოს), რომელიც ან თვითონ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან ამ მოვალეობას სხვა თანამდებობის პირს აკისრებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ თავისი უშუალო ხელმძღვანელის (ზემდგომი ორგანოს) წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რის შესახებაც უნდა მიეთითოს შესაბამის გადაწყვეტილებაში.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებსა და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებზე.

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)
საქართველოს *2013* წლის *20* სექტემბრის კანონი *№1261* – ვებგვერდი, *08.10.2013*წ. (/en/document/view/2028804#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)
საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **12.** (ამოღებულია)
საქართველოს *1998* წლის *1* სექტემბრის კანონი *№1558*-სსმ*I, №2, 26.10.1998*წ., მუხ.*3* (/en/document/view/1050191#)
საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)
საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I, №9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

მუხლი **12** [1]

1. კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო).

2. საბჭოს ძირითადი ამოცანაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და შესრულების მონიტორინგი.

3. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

4. საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლები და მეცნიერები.

5. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასა და საქმიანობის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით.

6. საბჭოს უფლებამოსილებასა და მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს *2010* წლის *21* ივლისის კანონი *№3548*-სსმ*I, №46, 04.08.2010*წ., მუხ.*295* (/en/document/view/93046#)
საქართველოს *2013* წლის *20* სექტემბრის კანონი *№1261* – ვებგვერდი, *08.10.2013*წ. (/en/document/view/2028804#DOCUMENT:1;)

თავი **III.** თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მუხლი **13**

1. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

1 [1]. საქართველოს პარლამენტის წევრზე ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, უფლება არა აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა). საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

2[1]. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

2[2]. საქართველოს მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

2[3]. საქართველოს პარლამენტის წევრის შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

3. საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციიდან, რომელსაც სამსახურებრივად ზედამხედველობს.

4. საჯარო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს იმ ორგანიზაციაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა, რომლის ხელმძღვანელ ორგანოშიც მისი ოჯახის წევრი საქმიანობს.

5. საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

6. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სამსახურის გავლის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.

8. საჯარო მოსამსახურეს არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.

9. საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს რომელიმე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე რომელიმე საჯარო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი.

10. განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება არა აქვს, მიიღოს შემოსავალი ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან.

11. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ, ეკავოთ რაიმე თანამდებობა ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

12. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ, ფლობდნენ აქციებს ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

13. არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი.

14. თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

15. თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს.

16. თანამდებობის პირი, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ:

ა) მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები;

ბ) სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების მფლობელია.

17. ამ მუხლით დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება საკრებულოს იმ წევრზე, რომელიც საკრებულოს თანამდებობის პირი არ არის.

საქართველოს *1998* წლის *1* სექტემბრის კანონი *№1558*-სსმ*I, №2, 26.10.1998*წ., მუხ.*3* (/en/document/view/1050191#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *7* მარტის კანონი *№2044* - ვებგვერდი, *26.03.2018*წ. (/en/document/view/4100893#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *29* ივნისის კანონი *№2760* – ვებგვერდი, *19.07.2018*წ. (/en/document/view/4253691#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *6* დეკემბრის კანონი *№3889* – ვებგვერდი, *14.12.2018*წ. (/en/document/view/4386540#DOCUMENT:1;)

თავი III[1]. საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

მუხლი 13[1]

1. ამ თავით დადგენილი საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მისი ქცევის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება.

2. ამ თავით დადგენილი საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების გარდა, საჯარო მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიებისათვის ან/და ცალკეული საჯარო დაწესებულებებისათვის შეიძლება დაწესდეს საჯარო მოსამსახურის ქცევის სპეციალური წესები.

3. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების საჯარო მოსამსახურეთათვის საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი და სპეციალური წესების ხელმისაწვდომობა და გაცნობა.

4. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი და სპეციალური წესები.

5. საჯარო მოსამსახურე ანგარიშვალდებულია თავისი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, თუ კანონით ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების დებულებით (რეგლამენტით) ან ამ საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

მუხლი 13[2]

1. საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად.

2. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება. საჯარო მოსამსახურე თავის სამსახურებრივ მოვალეობას მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს.

3. საჯარო მოსამსახურემ უნდა იმოქმედოს კოლეგიურობის პრინციპის დაცვით, სამსახურებრივი ვალდებულების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას ამ კანონით დადგენილი საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები, განსაკუთრებით იმ მოქალაქესთან ურთიერთობისას, რომელიც მისი მომსახურებით სარგებლობს.

4. საჯარო მოსამსახურემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. საჯარო მოსამსახურემ ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.

5. თუ საჯარო მოსამსახურე დააპატიმრეს ან დააკავეს, ან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.

6. საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის რეპუტაციას, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ან სახელმწიფო სამსახურის/საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

7. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება, სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობები, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად.

8. საჯარო მოსამსახურემ გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს. დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობის ან სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო განკარგულების ან/და დავალების გაცემა.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

მუხლი **13[3]**

1. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად გაცემის მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირება.

2. დაუშვებელია საჯარო მოსამსახურემ მიზანმიმართულად გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია.

3. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იმ საჯარო დაწესებულებისათვის დადგენილი ნორმებისა და სხვა მოთხოვნების დაცვით, სადაც ის მუშაობს.

4. თუ საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვა, მან ზუსტად უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმებით. აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა აღძრას ამ ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვის საკითხი კანონით დადგენილი წესით.

5. საჯარო მოსამსახურემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, საჯარო მოსამსახურის რეპუტაციასთან დაკავშირებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული, პერსონალური მონაცემების შემცველი და სხვა ინფორმაციის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით (/en/document/view/90034#part_61)) კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ეს მოთხოვნა საჯარო მოსამსახურეზე მისი სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც ვრცელდება.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

მუხლი **13[4]**

1. საჯარო მოსამსახურეს არა აქვს იმ სარგებლის შეთავაზების ან მიღების უფლება, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო სამსახურში ან/და საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:

ა) ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე;

ბ) მიიღოს ზომები ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევის დაუშვებლობისათვის;

გ) განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე/არჩევამდე ან დანიშვნის/არჩევის შემდეგ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი.

3. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნიდან/არჩევიდან 1 თვის ვადაში, ხოლო შემდგომ – ყოველი მომდევნო კალენდარული წლის 1 თებერვლამდე, საჯაროდ განაცხადოს მასთან დაკავშირებული იმ პირის შესახებ, რომელიც მუშაობს იმავე საჯარო დაწესებულებაში, სადაც საქმიანობს საჯარო მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის სათანადო წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებულია მასთან დაკავშირებული პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და მათი კავშირის ამსახველი ინფორმაცია, წარედგინება და აღირიცხება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულში.

4. ამ თავის მიზნებისათვის „საჯარო მოსამსახურესთან დაკავშირებულ პირში“ იგულისხმება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირები, აგრეთვე სხვა პირი, რომლებთანაც საჯარო მოსამსახურეს აქვს ერთიანი საოჯახო მეურნეობა (შინამეურნეობა), ანუ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

მუხლი **13[5]**

1. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

2. თუ გაურკვეველია, აქვს თუ არა საჯარო მოსამსახურეს შეთავაზებული საჩუქრის ან ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, იგი ვალდებულია ამის შესახებ განაცხადოს.

3. საჯარო მოსამსახურისათვის ამ კანონით აკრძალული სარგებლის შეთავაზების შემთხვევაში იგი ვალდებულია:

ა) არ მიიღოს ასეთი სარგებელი, ხოლო შეთავაზების შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს და ბიუროს;

ბ) შეეცადოს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა;

გ) შეზღუდოს იმ პირთან კონტაქტი, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა, და შეეცადოს მისი შეთავაზების საფუძვლის დადგენას;

დ) თუ საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება შეუძლებელია, ეს საჩუქარი 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

4. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სხვა საჯარო მოსამსახურის მიერ ნებისმიერი დანაშაულებრივი ან სხვა უკანონო ქმედების ჩადენის შესახებ მტკიცებულების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეტყობინებით ამხილოს იგი ამ კანონით დადგენილი წესით.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით (/en/document/view/3645402#DOCUMENT:1;).

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2020* წლის *29* მაისის კანონი *№5991* – ვებგვერდი, *10.06.2020*წ. (/en/document/view/4880875#DOCUMENT:1;)

მუხლი **13[6]**

1. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ე[2]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია ბიუროს უფროსის მიერ მისთვის დადგენილ ვადაში გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება და შესაბამისი ცნობა მისი გაცემიდან 3 დღის ვადაში წარუდგინოს ბიუროს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცნობა საჯაროა და ქვეყნდება ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს *2018* წლის *21* ივლისის კანონი *№3268* – ვებგვერდი, *13.08.2018*წ (/en/document/view/4276833#DOCUMENT:1;)

თავი **IV.** ეკონომიკური ინტერესების განცხადება და გამოქვეყნება

მუხლი **14**

1. პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი თვის განმავლობაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

3. პირი ვალდებულია თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 2 თვის ვადაში, თუ მას თანამდებობიდან გათავისუფლების კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილი არ ჰქონდა დეკლარაცია, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლების მომდევნო წელს, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი, იმავე თვის განმავლობაში, თუ იგი სხვა თანამდებობაზე არ განწესდება, შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

3[1]. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2-თვიანი ვადა მომდევნო კალენდარულ წელს გადადის, თანამდებობის პირი ვალდებულია შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია არაუგვიანეს თანამდებობიდან გათავისუფლების კალენდარული წლის 31 დეკემბრისა.

4. პირი, რომელსაც იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში დროებით დაკისრებული აქვს თანამდებობის პირის ფუნქციების შესრულება კონკრეტული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა, თავისუფლდება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

5. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ვალდებულია პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან 1 კვირის ვადაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ამ მუხლის თანახმად, მას იმ წელს შევსებული აქვს დეკლარაცია.

5[1]. მოსამართლეობის კანდიდატი ვალდებულია საქართველოს რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია .

5[2]. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად წარდგენილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში უნდა შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. აღნიშნული დეკლარაცია საჯაროა და დაუყოვნებლივ ქვეყნდება ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები შეიტანება მისი შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, შემოსავლები/გასავლები – დეკლარაციის შევსების წლის წინა წლის მდგომარეობით, ხოლო საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშები ან/და შენატანები, რომელთა განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს, – მისი შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

7. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მონაცემები თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის შესახებ, რომლის ოდენობაც აღემატება 10 000 ლარს, შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.

8. თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას ავსებს წელიწადში ერთხელ. თუ პირს შევსებული აქვს დეკლარაცია და, ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმდინარე წლის განმავლობაში კვლავ წარმოიშვა დეკლარაციის შევსების საფუძველი, თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციის ხელმეორედ შევსების ვალდებულებისაგან.

9. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ბიურო გასცემს დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს და პირს განუმარტავს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10. შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით მიაწოდოს ბიუროს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბიუროს უფროსი ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც შესაძლებელია გახდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელისთვის ან საამისოდ უფლებამოსილი პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის ბიუროსთვის მიწოდების ვალდებულებისაგან.

11. თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გამოცემის ვადის გასვლის შემთხვევაში დეკლარაციის შევსების 2-თვიანი ვადის ათვლა დაიწყება პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე ინფორმაციის ბიუროსთვის მიწოდების მომენტიდან.

12. ბიურო უფლებამოსილია პირს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში განუსაზღვროს დამატებით 48-საათიანი ვადა დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების რედაქტირებისათვის.

13. თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოახდინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეტანილი შემდეგი მონაცემების რედაქტირება:

ა) პირადი ნომერი;

ბ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

გ) მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი.

საქართველოს *1998* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1733*-სსმ*I, №7, 31.12.1998*წ., მუხ.*56* (/en/document/view/1612#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2007* წლის *8* ივნისის კანონი *№4920*-სსმ*I, №22, 19.06.2007*წ., მუხ.*201 (/en/document/view/21490#)*

საქართველოს *2008* წლის *2* ოქტომბრის კანონი *№311*-სსმ*I, №24, 20.10.2008*წ., მუხ.*157* (/en/document/view/19006#)

საქართველოს *2009* წლის *12* ივნისის კანონი *№1179*-სსმ*I, №12, 29.06.2009*წ., მუხ.*53* (/en/document/view/89224#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2010* წლის *21* ივლისის კანონი *№3548*-სსმ*I, №46, 04.08.2010*წ., მუხ.*295* (/en/document/view/93046#)

საქართველოს *2013* წლის *20* სექტემბრის კანონი *№1261* – ვებგვერდი, *08.10.2013*წ. (/en/document/view/2028804#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2013* წლის *29* ნოემბრის კანონი *№1666* - ვებგვერდი, *16.12.2013*წ. (/en/document/view/2112255#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2017* წლის *8* თებერვლის კანონი *№262* - ვებგვერდი, *13.02.2017*წ. (/en/document/view/3296535#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *4* მაისის კანონი *№2272* – ვებგვერდი, *21.05.2018*წ. (/en/document/view/4192281#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2019* წლის *4* აპრილის კანონი *№4462* – ვებგვერდი, *11.04.2019*წ. (/en/document/view/4526259#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2019* წლის *1* მაისის კანონი *№4527* – ვებგვერდი, *02.05.2019*წ. (/en/document/view/4550213#DOCUMENT:1;)

მუხლი **15**

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას პირისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ :

ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) პირის სამსახური , დაკავებული თანამდებობა , სამსახურის მისამართი , ტელეფონის ნომერი ;

გ) პირის, მისი ოჯახის წევრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, პირთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი;

დ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, საერთო ფართობი და ადგილმდებარეობა;

ე) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა და გადახდილი საფასურის ოდენობა;

ვ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, მესაკუთრის ვინაობა, ფასიანი ქაღალდის სახეობა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ნომინალი და რაოდენობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა;

ზ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, – ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების დასახელება, ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა, ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი);

თ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა 4 000 ლარს აღემატება, – ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა, ფულადი თანხის წყარო და ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში;

ი) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობა და არაპირდაპირი მონაწილეობა. საწარმოს საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობისას: საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირი და მონაწილეობის ფორმა, პარტნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი), საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, წილის პროცენტული ოდენობა, მონაწილეობის პერიოდი და საანგარიშო წლის განმავლობაში საწარმოდან მიღებული შემოსავლის ოდენობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე); საწარმოს საქმიანობაში არაპირდაპირი მონაწილეობისას: სხვა საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, საქმიანობის სახეობა, პარტნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი), სხვა საწარმოს კაპიტალში ძირითადი საწარმოს წილის პროცენტული ოდენობა;

კ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა, – სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა, სამსახური, რომელშიც პირს უკავია/ეკავა თანამდებობა ან ასრულებს/ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი, საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე);

ლ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება (გარდა მიღებული საჩუქრისა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის, წილის მინდობის ხელშეკრულება, ღირებულების მიუხედავად), – ხელშეკრულების სახეობა, ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა, ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება, საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე);

მ) პირის , მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი , რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს – საჩუქრის მიმღების ვინაობა , საჩუქრის გადამცემი , გადამცემის მიმღებთან კავშირი , საჩუქრის სახეობა , საჩუქრის საბაზრო ღირებულება ;

ნ) საანგარიშო პერიოდში პირის, მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს, ან/და გასავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს, ამ მუხლში აღნიშნული სხვა შემოსავლის ან/და გასავლის გარდა, – პირი, მისი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰქონდა შემოსავალი ან/და გასავალი, შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა და ოდენობა (ღირებულება);

ო) საიდუმლო გრაფა – ქონების სახეობა (შინაარსი) და ქონებასთან დაკავშირებული პირის , მისი ოჯახის წევრის ვინაობა , ქონებასთან პირის , მისი ოჯახის წევრის კავშირი , ქონების საბაზრო ღირებულება ან /და ოდენობა ;

პ) დეკლარაციის შევსების თარიღი.

საქართველოს *1998* წლის *1* სექტემბრის კანონი *№1558*-სსმ*I, №2, 26.10.1998*წ., მუხ.*3* (/en/document/view/1050191#)

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2008* წლის *2* ოქტომბრის კანონი *№311*-სსმ*I, №24, 20.10.2008*წ., მუხ.*157* (/en/document/view/19006#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2010* წლის *23* თებერვლის კანონი *№2669*-სსმ*I, №7, 09.03.2010*წ., მუხ.*28* (/en/document/view/91504#)

საქართველოს *2010* წლის *21* ივლისის კანონი *№3548*-სსმ*I, №46, 04.08.2010*წ., მუხ.*295* (/en/document/view/93046#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *22* დეკემბრის კანონი *№193* - ვებგვერდი, *29.12.2016*წ. (/en/document/view/3509714#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2019* წლის *4* აპრილის კანონი *№4462* – ვებგვერდი, *11.04.2019*წ. (/en/document/view/4526259#DOCUMENT:1;)

მუხლი **16.** (ამოღებულია)

საქართველოს *1998* წლის *1* სექტემბრის კანონი *№1558*-სსმ*I, №2, 26.10.1998*წ., მუხ.*3* (/en/document/view/1050191#)

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2008* წლის *2* ოქტომბრის კანონი *№311*-სსმ*I, №24, 20.10.2008*წ., მუხ.*157* (/en/document/view/19006#)

მუხლი **17**

1. (ამოღებულია).

2. თუ დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია აისახება მხოლოდ დეკლარაციის სპეციალურ (საიდუმლო) გრაფაში, შესაბამისი წყაროდან მიღებული ქონების სახეობის (შინაარსის), ქონებასთან თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების კავშირის, ქონების საბაზრო ღირებულების ან/და ოდენობის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირმა დეკლარაციას უნდა დაურთოს მითითება იმ სამართლებრივ აქტზე, რომლის საფუძველზედაც დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან არის სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია.

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

მუხლი **18**

1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას, დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაბარების კონტროლს უზრუნველყოფს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს ასრულებს ბიურო.

2. ამ კანონის მიზნებისთვის ბიურო უზრუნველყოფს :

ა) თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების შესახებ ინსტრუქციის შედგენას ;

ბ) თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას;

გ) თანამდებობის პირის მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შენახვას და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს;

დ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას ;

ე) ამ კანონის მე-2 მუხლში მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის შედგენას და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, რომელთათვისაც დეკლარაციების შევსება სავალდებულოა, აგრეთვე რეესტრში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადებას და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელებას .

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2009* წლის *12* ივნისის კანონი *№1179*-სსმ*I, №12, 29.06.2009*წ., მუხ.*53* (/en/document/view/89224#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2013* წლის *20* სექტემბრის კანონი *№1261* – ვებგვერდი, *08.10.2013*წ. (/en/document/view/2028804#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **18[1]**

1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს ბიურო.

2. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

ა) თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევა;

ბ) დასაბუთებული წერილობითი განცხადება.

3. ყოველწლიურად შესამოწმებელ თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/3031098#DOCUMENT:1;) განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული თანამდებობის პირები. განსაკუთრებული ფაქტორებია: განსაკუთრებული კორუფციული რისკი, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, განხორციელებული მონიტორინგით გამოვლენილი დარღვევა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ყოველწლიურად შესამოწმებელ თანამდებობის პირთა რაოდენობა თითოეულ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ყოველწლიურად შესამოწმებელი თანამდებობის პირები ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში შეირჩევიან.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ბიუროს უფროსი. დამოუკიდებელ კომისიაში საჯარო მოსამსახურეები არ შედიან.

7. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით ხორციელდება. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები ყოველი კალენდარული წლის ბოლოს პროაქტიულად ქვეყნდება.

8. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების შემთხვევაში ბიურო შესაბამის თანამდებობის პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობებს მონიტორინგის დაწყების შესახებ და განუსაზღვრავს 10 სამუშაო დღის ვადას მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (მათ შორის, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან) და საკუთარი მოსაზრების წარმოსადგენად.

9. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი ხორციელდება შევსებულ დეკლარაციაში არსებული მონაცემების სისწორის საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში გადამოწმებით, თანამდებობის პირის მიერ ბიუროსთვის წარდგენილი ან/და სხვა წერილობითი მტკიცებულების გადამოწმებით, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16–მე-19 მუხლებით (/en/document/view/16270#part_20) გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულების შესრულებით.

10. შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

11. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის შედეგად ბიურო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ;

ბ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შესახებ;

გ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უარყოფითად ფასდება ბიუროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების, აგრეთვე ამ კანონთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამო მონაცემის არსებობის გამოვლენის შემთხვევაში.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის განზრახ შეტანის შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას ბიურო ვალდებულია შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს.

13 [1]. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (გარდა ამავე მუხლის 13 [2] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ გადაწყვეტილებას ბიურო იღებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შემდეგი ცდომილებების არსებობისას:

ა) საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებული საცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 60 კვ. მ-ისა; არასაცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 30 კვ. მ-ისა; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 200 კვ. მ-ისა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 1 000 კვ. მ-ისა; არ არის მითითებული ინფორმაცია თანამესაკუთრის შესახებ;

ბ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში ანგარიშის ან/და შენატანის არსებობის შემთხვევაში, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, არსებული ნაშთის/ნაშთების გრაფაში ჯამური ცდომილებაა არაუმეტეს 1 000 ლარისა; საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, დეკლარირებული არ არის, თუმცა ვლინდება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მასზე ბრუნვა არ დაფიქსირებულა ან სხვა სახის საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელებულა ან ფიქსირდება ბრუნვა, მაგრამ არაუმეტეს 1 000 ლარისა;

გ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში საწარმოს საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში მითითებული არ არის საწარმო, რომლის საქმიანობაშიც თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მონაწილეობს და რომელსაც დეკლარაციის შევსების თარიღამდე 3 წლის ან 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია და ტრანზაქცია არ განუხორციელებია ან ფიქსირდება ბრუნვა წლის განმავლობაში არაუმეტეს 2 000 ლარისა;

დ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებულ ანაზღაურებასა და რეალურ მონაცემებს შორის ცდომილებაა არაუმეტეს 1 000 ლარისა;

ე) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის, თუმცა ვლინდება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ სამუშაოს შესრულებისთვის მიღებული ანაზღაურებაა არაუმეტეს 1 000 ლარისა;

ვ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგის დაანგარიშებისას აღმოჩენილი ცდომილებაა არაუმეტეს 2 000 ლარისა.

13[2]. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ გადაწყვეტილებას ბიურო იღებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შემდეგი ცდომილებების არსებობის მიუხედავად:

ა) საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებული საცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 20 კვ. მ-ისა; არასაცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 10 კვ. მ-ისა; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის

ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 კვ. მ-ისა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 300 კვ. მ-ისა; უძრავი ქონება შეცდომით მითითებულია თანამდებობის პირის ოჯახის წევრის საკუთრებად ან/და თანამდებობის პირია მითითებული იმ ქონების მესაკუთრედ, რომლის მესაკუთრეც მისი ოჯახის წევრია; მითითებულია არასწორი ინფორმაცია თანამესაკუთრის შესახებ;

ბ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში ანგარიშის ან/და შენატანის არსებობის შემთხვევაში, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, არსებული ნაშთის/ნაშთების გრაფაში ჯამური ცდომილებაა არაუმეტეს 500 ლარისა; საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, დეკლარირებული არ არის, თუმცა ვლინდება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მასზე ბრუნვა არ დაფიქსირებულა ან სხვა სახის საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელებულა ან ფიქსირდება ბრუნვა, მაგრამ არაუმეტეს 200 ლარისა;

გ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში საწარმოს საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში მითითებული არ არის საწარმო, რომლის საქმიანობაშიც თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მონაწილეობს და რომელსაც დეკლარაციის შევსების თარიღამდე 6 წლის ან 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია და ტრანზაქცია არ განუხორციელებია ან ფიქსირდება ბრუნვა წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარისა;

დ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებულ ანაზღაურებასა და რეალურ მონაცემებს შორის ცდომილებაა არაუმეტეს 500 ლარისა;

ე) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგის დაანგარიშებისას აღმოჩენილი ცდომილებაა არაუმეტეს 1 000 ლარისა.

14. საჯარო მოსამსახურის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის პრინციპის ბრალეული დარღვევა, თუ ეს ქმედება დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს საჯარო მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *4* მაისის კანონი *№2272* – ვებგვერდი, *21.05.2018*წ. (/en/document/view/4192281#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2019* წლის *4* აპრილის კანონი *№4462* – ვებგვერდი, *11.04.2019*წ. (/en/document/view/4526259#DOCUMENT:1;)

მუხლი **19**

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა ამ დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის ნომრისა, თანამდებობაზე პირველად განწესებამდე პერიოდისთვის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგი პერიოდისთვის მიკუთვნებული ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის დეკლარაციისა, რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის (/en/document/view/2750311#DOCUMENT:1;) შესაბამისად საიდუმლოობის გრიფი აქვს მინიჭებული.

2. არ შეიძლება დაწესდეს ან შეიქმნას რაიმე დაბრკოლება დეკლარაციის ასლის მისაღებად .

3. დეკლარაციის და დეკლარაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ბიუროში თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი სხვა მასალების ასლის მისაღებად „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/29470#) დადგენილი წესით გადაიხდევინება საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი

საქართველოს *1998* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1733*-სსმ*I, №7, 31.12.1998*წ., მუხ.*56* (/en/document/view/1612#)

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2005* წლის *13* მაისის კანონი *№1439*-სსმ*I, №25, 02.06.2005*წ., მუხ.*167* (/en/document/view/31282#)

საქართველოს *2008* წლის *2* ოქტომბრის კანონი *№311*-სსმ*I, №24, 20.10.2008*წ., მუხ.*157* (/en/document/view/19006#)

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

თავი **V.** პასუხისმგებლობა ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

მუხლი **20**

1. ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით , რის თაობაზედაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი - განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ .

1 [1]. ამ კანონის 18 [1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო ის პირი, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან, − თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.

1[2]. ამ კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა გაფრთხილება, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.

1[3]. ამ კანონის 13[6] მუხლით გათვალისწინებული ნარკოლოგიური შემოწმების გავლისთვის ან შესაბამისი ცნობის წარდგენისთვის თავის არიდება გამოიწვევს თანამდებობის პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, რის თაობაზედაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ. ეს განკარგულება საჯაროა და ქვეყნდება ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თანამდებობის პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არაუგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროსთვის წარდგენის მომენტიდან. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

2 [1]. გაფრთხილების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მომდევნო მონიტორინგის განხორციელებისას დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ბიურო იღებს ამ კანონის 18 [1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

3. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას .

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ან სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაცია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს.

5. იმ საჯარო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, თუ ეს ქმედება დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს საჯარო მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

6. თუ საჯარო მოსამსახურე, რომელმაც დაარღვია ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა და რომელსაც ამ ქმედებისათვის შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა, 3 წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ, ამ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, იგი ექვემდებარება სამსახურიდან სავალდებულო გათავისუფლებას.

საქართველოს *1998* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1733*-სსმ*I, №7, 31.12.1998*წ., მუხ.*56* (/en/document/view/1612#)

საქართველოს *1999* წლის *5* თებერვლის კანონი *№1801*-სსმ*I, №3(10), 19.02.1999*წ., მუხ.*17* (/en/document/view/11500#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

საქართველოს *2008* წლის *2* ოქტომბრის კანონი *№311*-სსმ*I, №24, 20.10.2008*წ., მუხ.*157* (/en/document/view/19006#)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2016* წლის *21* დეკემბრის კანონი *№157* - ვებგვერდი, *28.12.2016*წ. (/en/document/view/3504112#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *4* მაისის კანონი *№2272* – ვებგვერდი, *21.05.2018*წ. (/en/document/view/4192281#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2018* წლის *21* ივლისის კანონი *№3268* – ვებგვერდი, *13.08.2018*წ (/en/document/view/4276833#DOCUMENT:1;)

თავი **V[1].** მამხილებლის დაცვა

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I, №9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

მუხლი **20[1]**

ამ თავის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მხილება – პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. მხილებად ჩაითვლება აგრეთვე მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

ბ) ანონიმური მხილება – მხილება, როდესაც მამხილებელი იდენტიფიცირებული არ არის;

გ) განცხადების განმხილველი ორგანო – შესაბამისი საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) იძულებითი ზომები – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (/en/document/view/3031098#DOCUMENT:1;) გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ან მამხილებლის თანხმობის გარეშე მისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა, ხელშეკრულების პირობების გაუარესება, სამსახურში მიღებაზე, აღდგენაზე ან დაწინაურებაზე უარის თქმა ან/და სხვა ქმედება,

რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მამხილებლის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეზღუდვა ან მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ან/და სამუშაო პირობების გაუარესება;

ე) მამხილებლის ახლო ნათესავი – მამხილებლის მშობელი, მშვილებელი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მამხილებელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2017* წლის *4* მაისის კანონი *№758* - ვებგვერდი, *24.05.2017*წ. (/en/document/view/3661721#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[2]**

1. მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის თავიდან აცილებას, გამოვლენას ან აღკვეთას ან/და საჯარო ინტერესის დაცვას.

2. მხილება კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[3]**

1. მხილება შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად, ტელეფონით, ფაქსით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით ან სხვა საშუალებით.

2. მხილება შეიძლება ანონიმური იყოს.

3. თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.

4. საჯარო მოსამსახურის მიერ ამ მუხლის მოთხოვნის ბრალეული დარღვევა, თუ ის დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2012* წლის *25* მაისის კანონი *№6328* - ვებგვერდი, *12.06.2012*წ. (/en/document/view/1672389#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[4]**

1. დაუშვებელია მამხილებლის ან მისი ახლო ნათესავის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილების ფაქტთან დაკავშირებით.

2. დაუშვებელია მამხილებლის მიმართ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე მის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

3. თუ მამხილებლის მიმართ დისციპლინური წარმოება ან ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს, ის უნდა შეჩერდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) დისციპლინური წარმოება, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის პროცესი მხილების ფაქტთან დაკავშირებული არ არის;

ბ) ამ მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიებით სარგებლობის მიზანია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ხელყოფა, მისი კონსტიტუციური წყობილების დამხობა, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივება.

4. მამხილებლის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენებისას, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას შესაბამისი საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს, რომ ეს დაკავშირებული არ არის მხილების ფაქტთან და ამისათვის არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

5. ამ მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მხილებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამ საქმეში მონაწილეობის გამო მამხილებლის, მისი ახლო ნათესავის ან მხილების მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას საფრთხე ემუქრება, მამხილებელი, მისი ახლო ნათესავი, მხილების მოწმე ან განცხადების განმხილველი ორგანო უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (/en/document/view/90034#) გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ.

7. მამხილებელი უფლებამოსილია განცხადების განმხილველი ორგანოს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევა გაასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9*, *13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[5]**

მამხილებელი დაცვის გარანტიებით სარგებლობს განურჩევლად იმისა, მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას შეეძლო გადაემოწმებინა მხილებისათვის საჭირო ინფორმაციის სისწორე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ამ ინფორმაციის გადამოწმებისთვის აუცილებელი ყველა შესაძლო ზომა მიიღო და მისი მცდარობა მაინც ვერ დაადგინა;

ბ) მამხილებელი მოქმედებს თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სპეციალური ჯილდოს მიღების შემთხვევისა;

გ) მამხილებელი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მხილების ფაქტობრივი გარემოებები საჯაროდ ცნობილია ან ცნობილია განცხადების განმხილველი ორგანოსთვის.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[6]**

1. განცხადების განმხილველი ორგანო მხილების განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი წესების არარსებობის შემთხვევაში – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (/en/document/view/16270#) დადგენილი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. თუ მხილების განცხადების განხილვის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ჩადენილი დარღვევა შესაძლებელია გახდეს მხილებულისთვის ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

3. ამ კანონის 20[4] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შეჩერებული სამართალწარმოება განახლდება შესაბამისი განცხადების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[7]**

1. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს.

2. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ზემდგომ თანამდებობის პირს.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[8]**

დაუშვებელია, პირმა განიხილოს მხილების განცხადება, თუ ეს განცხადება მიმართულია მის წინააღმდეგ, ან ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[9]**

მხილებულს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების და არსებული მტკიცებულებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მხილებას მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მხილებულის პოზიცია უნდა აისახოს განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს *2009* წლის *27* მარტის კანონი *№1157*-სსმ*I*, *№9, 13.04.2009*წ., მუხ.*40* (/en/document/view/18034#)

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[10]**

1. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს და უნდა შეიცავდეს:

ა) მხილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;

ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების ჩამონათვალსა და აღწერას;

გ) მხილებულის პოზიციას;

დ) გადაწყვეტილების დასაბუთებას.

2. დაუშვებელია, განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებას, ფაქტს, მტკიცებულებას ან არგუმენტს, რომელიც მხილების განცხადების განხილვის პროცესში სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა.

3. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ეცნობებათ მხილებულსა და მამხილებელს. ანონიმური მხილების შემთხვევაში განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ მხილებულს.

4. მხილების განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, აღსრულებისა და გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *27* ოქტომბრის კანონი *№4358* - ვებგვერდი, *11.11.2015*წ. (/en/document/view/3018579#DOCUMENT:1;)

მუხლი **20[11]**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში მხილების საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.

საქართველოს *2014* წლის *2* აპრილის კანონი *№2172* - ვებგვერდი, *14.04.2014*წ. (/en/document/view/2314710#DOCUMENT:1;)

საქართველოს *2015* წლის *8* ივლისის კანონი *№3932* - ვებგვერდი, *15.07.2015*წ. (/en/document/view/2902749#DOCUMENT:1;)

თავი **VI.** გარდამავალი დებულებანი

მუხლი **21**

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, 1997 წლის საშემოდგომო სესიის დამთავრებამდე საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარის კანდიდატურა.

2. დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატას, 1998 წლის 30 მარტამდე ჩამოაყალიბოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო.

3. დაევალოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს, 1998 წლის 30 მარტამდე საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუროს დებულება.

4. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ დებულების დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში შეადგინოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც, ამ კანონის შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციების შევსება სავალდებულოა.

5. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საარსებო მინიმუმის ოდენობის განსაზღვრამდე, ამ კანონის მიზნებისათვის, საარსებო მინიმუმი განისაზღვროს ასი ლარით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ხარჯები“ ცალკე პუნქტად გამოყოს საქართველოს ბიუჯეტის კანონში.

7. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა პირებმა ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარადგინონ 1998 წლის 15 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე .

8. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, 1998 წლის 1 იანვრამდე გამოყოს შენობა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს განსათავსებლად.

9. (ამოღებულია).

10. გაუქმდეს ამ კანონის დანართები – თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ფორმები.

11. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურომ 2004 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ახალი ფორმები.

საქართველოს *1998* წლის *12* ივნისის კანონი *№1453*-პარლამენტის უწყებანი, *№23-24, 30.06.1998*წ., გვ.*56* (/en/document/view/28138#)

საქართველოს *1998* წლის *1* სექტემბრის კანონი *№1558*-სსმ*I, №2, 26.10.1998*წ., მუხ.*3* (/en/document/view/1050191#)

საქართველოს *1998* წლის *13* დეკემბრის კანონი *№1733*-სსმ*I, №7, 31.12.1998*წ., მუხ.*56* (/en/document/view/1612#)

საქართველოს *2004* წლის *13* თებერვლის კანონი *№3314*-სსმ*I, №6, 09.03.2004*წ., მუხ.*25* (/en/document/view/13384#)

მუხლი **21[1]**

1. თანამდებობის პირის მიერ თანამდებობაზე ყოფნისას და თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში შესაბამისი ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის ვადა გაგრძელდეს 2007 წლის 1 ივლისამდე .

2. 2010 წლის 1 იანვრამდე ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და წარდგენა განხორციელდეს 2004 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ფორმებით .

საქართველოს *2005* წლის *22* აპრილის კანონი *№1396*-სსმ*I, №18. 27.04.2005*წ., მუხ.*113* (/en/document/view/31264#)

საქართველოს *2006* წლის *26* აპრილის კანონი *№2914*-სსმ*I,* სსმ*I, №10, 28.04.2006*წ., მუხ.*74* (/en/document/view/26086#)

საქართველოს *2006* წლის *29* დეკემბრის კანონი *№4295*-სსმ*I, №1, 03.01.2007*წ., მუხ.*5* (/en/document/view/23134#)

საქართველოს *2008* წლის *29* თებერვლის კანონი *№5781*-სსმ*I, №2, 12.03.2008*წ., მუხ.*5* (/en/document/view/20512#)

საქართველოს *2009* წლის *12* ივნისის კანონი *№1179*-სსმ*I, №12, 29.06.2009*წ., მუხ.*53* (/en/document/view/89224#)

მუხლი **21[2]**

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო 2009 წლის 1 აგვისტოდან . სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ .

2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2009 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაცია . ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს

უფლებამონაცვლე .

3. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2009 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყონ ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა .

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას .

5. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს საბიუჯეტო ასიგნებათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საჯარო სამსახურის ბიუროსათვის .

6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საჯარო სამსახურის ბიუროსათვის .

7. 2009 წლის 1 აგვისტომდე თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურომ .

მუხლი **21³**

ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „ი“, „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგენენ არა უგვიანეს 2010 წლის 1 მაისისა, ხოლო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები – არა უგვიანეს 2010 წლის 1 აგვისტოსი.

საქართველოს *2009* წლის *4* დეკემბრის კანონი *№2226*-სსმ*I, №45, 21.12.2009*წ., მუხ.*243* (/en/document/view/90802#)

საქართველოს *2010* წლის *23* თებერვლის კანონი *№2669*-სსმ*I, №7, 09.03.2010*წ., მუხ.*28* (/en/document/view/91504#)

თავი **VII.** დასკვნითი დებულებანი

მუხლი **22**

1. ეს კანონი, IV თავის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
2. ამ კანონის IV თავი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი**,**

1997 წლის **17** ოქტომბერი**.**
№982–Iს

75. 15/07/2020 - Law of Georgia - 6992-რს - Website, 28/07/2020 (/en/document/view/4913962)

74. 02/07/2020 - Law of Georgia - 6732-რს - Website, 16/07/2020 (/en/document/view/4920430)

73. 29/05/2020 - Law of Georgia - 5991-IIს - Website, 10/06/2020 (/en/document/view/4880875)

72. 28/06/2019 - Law of Georgia - 4931-IIს - Website, 04/07/2019 (/en/document/view/4582985)

71. 08/05/2019 - Law of Georgia - 4592-რს - Website, 08/05/2019 (/en/document/view/4555903)

70. 01/05/2019 - Law of Georgia - 4527-IIს - Website, 02/05/2019 (/en/document/view/4550213)

69. 04/04/2019 - Law of Georgia - 4462-IIს - Website, 11/04/2019 (/en/document/view/4526259)

68. 02/04/2019 - Law of Georgia - 4403-IIს - Website, 08/04/2019 (/en/document/view/4510213)

67. 27/12/2018 - Law of Georgia - 4245-რს - Website, 29/12/2018 (/en/document/view/4432160)

66. 22/12/2018 - Law of Georgia - 4097-რს - Website, 28/12/2018 (/en/document/view/4421029)

65. 06/12/2018 - Law of Georgia - 3889-რს - Website, 14/12/2018 (/en/document/view/4386540)

64. 30/11/2018 - Law of Georgia - 3822-Iს - Website, 13/12/2018 (/en/document/view/4367627)

63. 21/07/2018 - Law of Georgia - 3268-რს - Website, 13/08/2018 (/en/document/view/4276833)

62. 21/07/2018 - Law of Georgia - 3287-რს - Website, 09/08/2018 (/en/document/view/4276611)

61. 21/07/2018 - Law of Georgia - 3305-რს - Website, 06/08/2018 (/en/document/view/4276815)

60. 29/06/2018 - Law of Georgia - 2760-IIს - Website, 19/07/2018 (/en/document/view/4253691)

59. 04/05/2018 - Law of Georgia - 2272-IIს - Website, 21/05/2018 (/en/document/view/4192281)

58. 07/03/2018 - Law of Georgia - 2044-IIს - Website, 26/03/2018 (/en/document/view/4100893)

57. 07/12/2017 - Law of Georgia - 1708-რს - Website, 14/12/2017 (/en/document/view/3886567)

56. 04/05/2017 - Law of Georgia - 758-IIს - Website, 24/05/2017 (/en/document/view/3661721)

55. 08/02/2017 - Law of Georgia - 262-IIს - Website, 13/02/2017 (/en/document/view/3296535)

54. 22/12/2016 - Law of Georgia - 193-რს - Website, 29/12/2016 (/en/document/view/3509714)

53. 21/12/2016 - Law of Georgia - 157-რს - Website, 28/12/2016 (/en/document/view/3504112)

52. 27/10/2015 - Law of Georgia - 4358-Iს - Website, 11/11/2015 (/en/document/view/3018579)

51. 08/07/2015 - Law of Georgia - 3932-რს - Website, 15/07/2015 (/en/document/view/2902749)

50. 28/05/2015 - Law of Georgia - 3614-IIს - Website, 04/06/2015 (/en/document/view/2857057)

49. 04/03/2015 - Law of Georgia - 3129-IIს - Website, 23/03/2015 (/en/document/view/2764658)

48. 01/08/2014 - Law of Georgia - 2643-რს - Website, 18/08/2014 (/en/document/view/2453968)

47. 02/05/2014 - Law of Georgia - 2361-IIს - Website, 16/05/2014 (/en/document/view/2346187)

46. 02/04/2014 - Law of Georgia - 2172-IIს - Website, 14/04/2014 (/en/document/view/2314710)

45. 05/02/2014 - Law of Georgia - 1973-IIს - Website, 19/02/2014 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/2239643)

44. 05/02/2014 - Law of Georgia - 1950-IIს - Website, 17/02/2014 (/en/document/view/2236857)

43. 13/12/2013 - Law of Georgia - 1801-Iს - Website, 28/12/2013 (/en/document/view/2149853)

42. 29/11/2013 - Law of Georgia - 1666-Iს - Website, 16/12/2013 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/2112255)

41. 20/11/2013 - Law of Georgia - 1593-რს - Website, 03/12/2013 (/en/document/view/2092906)

40. 13/11/2013 - Law of Georgia - 1526-Iს - Website, 22/11/2013 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/2082276)

39. 20/09/2013 - Law of Georgia - 1261-Iს - Website, 08/10/2013 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/2028804)

38. 29/06/2012 - Law of Georgia - 6612-რს - Website, 12/07/2012 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/1698188)

37. 22/06/2012 - Law of Georgia - 6550-Iს - Website, 29/06/2012 (/en/document/view/1688602)

36. 25/05/2012 - Law of Georgia - 6328-Iს - Website, 12/06/2012 (/en/document/view/1672389)

35. 15/05/2012 - Law of Georgia - 6174-რს - Website, 29/05/2012 (/en/document/view/1661494)

34. 13/10/2011 - Law of Georgia - 5129-IIს - Website, 111027013, 27/10/2011 (/en/document/view/1498949)

33. 17/05/2011 - Law of Georgia - 4675-Iს - LHG, 12, 14/07/2008 (/en/document/view/1349568)

32. 21/07/2010 - Law of Georgia - 3548 - LHG, 46, 04/08/2010 (/en/document/view/93046)

31. 23/02/2010 - Law of Georgia - 2669 - LHG, 7, 09/03/2010 (/en/document/view/91504)

30. 04/12/2009 - Law of Georgia - 2226 - LHG, 45, 21/12/2009 (/en/document/view/90802)

29. 19/06/2009 - Law of Georgia - 1277 - LHG, 13, 02/07/2007 (/en/document/view/89266)

28. 12/06/2009 - Law of Georgia - 1179 - LHG, 12, 29/06/2009 (/en/document/view/89224)

27. 27/03/2009 - Law of Georgia - 1157 - LHG, 9, 13/04/2009 (/en/document/view/18034)

26. 01/11/2008 - Law of Georgia - 486 - LHG, 30, 07/11/2008 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/19384)

25. 02/10/2008 - Law of Georgia - 311 - LHG, 24, 20/10/2008 (/en/document/view/19006)

24. 29/02/2008 - Law of Georgia - 5781 - LHG, 2, 12/03/2008 (/en/document/view/20512)

23. 20/11/2007 - Law of Georgia - 5470 - LHG, 40, 03/12/2007 (/en/document/view/20074)

22. 11/07/2007 - Law of Georgia - 5249 - LHG, 29, 27/07/2007 (/en/document/view/22528)

21. 08/06/2007 - Law of Georgia - 4920 - (/en/document/view/21490)

20. 05/06/2007 - Law of Georgia - 4861 - LHG, 22, 19/06/2007 (/en/document/view/1246)

19. 25/05/2007 - Law of Georgia - 4818 - LHG, 19, 01/06/2007 (/en/document/view/21304)

18. 30/03/2007 - Law of Georgia - 4603 - LHG, 11, 10/04/2007 (/en/document/view/24250)

17. 29/12/2006 - Law of Georgia - 4295 - LHG, 1, 03/01/2007 (/en/document/view/23134)

16. 29/12/2006 - Law of Georgia - 4278 - LHG, 51, 31/12/2006 (/en/document/view/23020)

15. 09/06/2006 - Law of Georgia - 3242 - LHG, 24, 29/06/2006 (/en/document/view/23794)

14. 25/05/2006 - Law of Georgia - 3184 - LHG, 17, 30/05/2006 (/en/document/view/23752)

13. 26/04/2006 - Law of Georgia - 2914 - LHG, 10, 28/04/2006 (/en/document/view/26086)

12. 13/05/2005 - Law of Georgia - 1439 - LHG, 25, 02/06/2005 - Amendment contains transitional provision (/en/document/view/31282)

11. 22/04/2005 - Law of Georgia - 1396 - LHG, 18, 27/04/2005 (/en/document/view/31264)

10. 13/02/2004 - Law of Georgia - 3314 - LHG, 6, 09/03/2004 (/en/document/view/13384)

9. 10/05/2002 - Law of Georgia - 1399 - LHG, 10, 13/05/2002 (/en/document/view/16384)

8. 20/07/2001 - Law of Georgia - 1014 - LHG, 24, 01/08/2001 (/en/document/view/15556)

7. 09/12/1999 - Law of Georgia - 61 - LHG, 47(54), 09/12/1999 (/en/document/view/16648)

6. 28/05/1999 - Law of Georgia - 1987 - LHG, 21(28), 14/06/1999 (/en/document/view/11638)

5. 30/04/1999 - Law of Georgia - 1934 - LHG, 15(22), 14/05/1999 (/en/document/view/11590)

4. 05/02/1999 - Law of Georgia - 1801 - LHG, 3(10), 19/02/1999 (/en/document/view/11500)

3. 13/12/1998 - Law of Georgia - 1733 - LHG, 7, 31/12/1998 (/en/document/view/1612)

2. 01/09/1998 - Law of Georgia - 1558 - LHG, 2, 26/10/1998 (/en/document/view/1050191)

1. 12/06/1998 - Law of Georgia - 1453 - LHG, 23-24, 30/06/1998 (/en/document/view/28138)